პროექტის გეგმა

ზინა ბუბუტეიშვილი

პროექტის სახელწოდება: XVII საუკუნის ისტორიული რეალობა ქართულ მწერლობაში

სასწავლო პროექტი:

ინტეგრირებული პროექტი მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ისტორია, ქართული, უცხო ენა-ინგლისური ენა. პროექტში ჩრთული იყო XI-4 კლასის 23 კადეტი.

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ამ საქმეში სხვა აქტივობებთან ერთად დიდ როლს თამაშობს საქართველოს ისტორიის სწავლა, რადგან სწორედ ასე შეიმეცნებს მოსწავლე თავისი ქვეყნის დიად წარსულს, გმირი წინაპრებისა და თავდადებულ მამულიშვილთა მაგალითებით მიხვდება, რას ნიშნავს იყო პატრიოტი და მოუარო „მამულს, ენასა და სარწმუნოებას“.სწორედ ერთ-ერთი ასეთი თავდადების მაგალითია ბახტრიონის აჯანყების მეთაურების: ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების თავგანწირვა ერისა და მამულისათვის. საუკუნეების შემდეგაც კი ქართველი ხალხი არ ივიწყებს თავის გმირებს, პატივს მიაგებს და ახსოვს ისინი.

მე-19 საუკუნის მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურა ნასაზრდოებია გმირული ისტორიული წარსულით. კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლების :აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც ანარეკლია თანადროული თუ წინა ეპოქების მოვლენებისა, ერთგვარი ისტორიული მოგზაურობაა, რომელიც მოსწავლეებს წარმოდგენას შეუქმნის მათ პოეტურ-მოქალაქეობრივ მრწამსსა და
სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე; წარმოაჩენს რუსეთის თვითმპყრობელობის ხანაში ეროვნული მოძრაობის მესვეურთა სულისკვეთებას და მებრძოლ ხასიათს.

ინგლისურ ენაში წერის უნარის განვითარებისთვის საჭიროა კადეტების ისეთ აქტივობებში ჩართვა, რომლებიც დაეხმარებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებაში, ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების გამოყენებაში. ამ მხრივ ,განსაკუთრებით საინტერესო და სახალისო არის ინგლისურენოვანი ბროშურების მომზადება კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, რა დროსაც მათ მოუწევთ არამხატვრული მასალის თარგმნა.

პროექტის მიზნები:

- ისტორიული ექსკურსი საქართველოს წარსულში
- მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება
- მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება
- შემოქმედებითი უნარების განვითარება
- პრეზენტაციის მომზადება
- ბროშურების დამზადება

- უცხო ენის უნარების (Writing) გაუმჯობესება და პრაქტიკაში გამოყენება.
- არამხატვრული ტექსტის (ისტორიული მიმოხილვის) თარგმნის გამოცდილების შეძენა.
- ინგლისურენოვანი ბროშურის მომზადება.

ისტ. XI.5. მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა.

ინდიკატორები

ირჩევს ერთ-ერთ ეპოქას და ადარებს სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესებს საქართველოს მიმართ;

ირჩევს რომელიმე კონკრეტულ ეპოქას, გამოყოფს იმ პერიოდის მსოფლიო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ინტერესებს. განსაზღვრავს ქართული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ადგილსა და როლს ამ კონკრეტულ ეპოქასთან მიმართებით.

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

შეაფასებს ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა. და პრობლემებს ამავე ეპოქის სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;

ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

ენობრივი და სტილური საშუალებების გათვალისწინებით, განსხვავებული ფორმით გადმოსცემს მთავარ სათქმელს (მაგ. როლური ტექსტის სახით ჩაწერს თხრობით ტექსტს ან პირიქით, როლურ ტექსტს გადააკეთებს თხრობით ტექსტად);

უცხ.ს.VIII.10. წერისას მოსწავლეს შეუძლია შექმნას ტექსტის სტრუქტურა, ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-ჩვევებს.
უცხ.ს.VII.18.მოსწავლეს შეუძლია თარგმნოს უცხოენოვანი წყაროები/ ტექსტები ან დაამუშაოს ისინი სხვა დაინტერესებულ პირთათვის (*მაგ., თანაგუნდელისთვის*), ან შემდგომი გამოყენებისათვის.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად იყენებს მარტივ ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების (*მიზეზის, შედეგის, მიზნის, ოპოზიციის, პირობითობის*) გამოსახატად;
- იცავს არგუმენტირებული მსჯელობის სტრუქტურას – *თეზისი, არგუმენტი, დასკვნა;*

- იყენებს ემოციების, დამოკიდებულების, შთაბეჭდილების გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (*ლექსიკურ ერთეულებს, მყარ შესიტყვებებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს);*

- წერილობით/ზეპირად თარგმნის არამხატვრულ ტექსტებს (*რეზიუმეს, სტატიას, მიმოხილვა, ინსტრუქცია და სხვა);*

ამოცანები და განხორციელების გზები

პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

1. პროექტის გეგმის შექმნა; განხორციელების ვადების დადგენა; ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება; (სექტემბერი, 2014 წელი)

2. მასალების შეგროვება, დახარისხება და პრეზენტაციისთვის მომზადება (სექტემბერი, 2014)

3. ლიტერატურული კომპოზიციის პრეზენტაცია ალავერდის ტაძარში – ოქტომბერი––

2014;

4. პროექტის პრეზენტაცია ლიცეუმის კლუბში ნოემბერი-2014წ

5. ბუკლეტის დამზადება და ლიცეუმის თემში გავრცელება დეკემბერი-2014წ

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელებული აქტივობების შედეგად კადეტებმა შეისწავლეს მე-17 დსაუკუნის საქართველოს ისტორია, გაიაზრეს თუ რას ნიშნავდა ის საფრთხე, რაც ემუქრებოდა კახეთს. გაითავისეს და როლური თამაშის გამოყენებით გააცოცხლეს პოემა „ბახტრიონის“ და „ბაში აჩუკის“ გმირები. მოამზადეს პრეზენტაცია და დაამზადეს ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენაზე.პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა ჯგუფის წევრების კიდევ უფრო დამეგობრება, მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, განუვითარდათ
მაღალი სააზროვნო უნარ—ჩვევები.

პროექტისთვის საჭირო ძირითადი რესურსები

სატრანსპორტო საშუალება, ფოტოაპარატი, საწერ-კალამი,რვეული, ვიდეო გადამღები, სახელმძღვანელო,კომპიუტერი, პროექტორი.

პროექტის ხელმძღვანელები: ზინა ბუბუტეიშვილი

ქალთამზე მელქაძე

ელენე კოხრეიძე

ფიქრია ცერცვაძე